ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2367531

ნომერი: AR1362746

თარიღი : 15.12.2015

გაცემის თარიღი : 30.12.2015

გაცნობის თარიღი : 01.01.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მიხეილ მესხი , N 15 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გოჩა ცერცვაძე პ/ნ 65007000276
- თბილისი მუხიანი II მ/რ კორ. 16 ბ. 11

ორგანიზაცია:

- შპს ჯორჯიან ამერიკან დეველოპერები კოდი: 404439327

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 29/07/2014 წლის №1409607 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 15/12/2015წ. AR1362746 განაცხადით მომართა გოჩა ცერცვაძემ და ამავე სამსახურის 29/07/2014 წლის №1409607 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება მოითხოვა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ამავე სამსახურის 29/07/2014 წლის №1409607 ბრძანებით ქ. თბილისში, მიხეილ მესხის ქ. №15-ში, შპს „ჯორჯიან ამერიკან დეველოპერებისა“ და ლიანა ბაქრაძის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი: №01.12.20.055.043) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, ხოლო აღნიშნული ბრძანების საფუძველზე სამსახურის 25/06/2015 წლის N1975836 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 25/06/2015 წლიდან 25/04/2017 წლის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 29/07/2014 წლის №1409607 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური შეცდომაა და არასწორად არის მითითებული ფართობების ციფრობრივი მაჩვენებელები. განმცხადებელმა წარმოადგინა შესწორებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და წინამდებარე განაცხადით ითხოვს მათი შემდეგი სახით დაფიქსირებას: საერთო ფართობი (კვ.მ).:2254,5; საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 1173,8; საოფისე ფართობი (კვ.მ).: 116,4; კომერციული ფართობი (კვ.მ).: 74.4; საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 471,1 კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 147,6; ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 265; დამხმარე ფართბი (კვ.მ).: 6,2;
სამსახურმა განმცხადებლის მოთხოვნისა და სამსახურში დაცული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებთან დაკავშირებული ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე შესაბამისობაშია შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციასთან. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და 29/07/2014 წლის №1409607 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვნებელებში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 29/07/2014 წლის №1409607 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ფართობების ციფრობრივი მაჩვენებლები დაფიქსირდეს შემდეგი სახით: საერთო ფართობი (კვ.მ).:2254,5; საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 1173,8; საოფისე ფართობი (კვ.მ).: 116,4; კომერციული ფართობი (კვ.მ).: 74.4; საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 471,1 კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 147,6; ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 265; დამხმარე ფართბი (კვ.მ).: 6,2;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 29/07/2014 წლის №1409607 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.